შპს „დეა“ სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის წლიური ანგარიში

2020-2021 სასწავლო წელი

მოსწავლეთა თვითმმართველობისწლიური მუშაობა ემყარებოდა წინასწარ გაწერილ ყოველკვირეულ გეგმას. წლის განმავლობაში თვითმმართველობამ ჩაატარა 50-მდე ღონისძიება, როგორც სკოლის შენობაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. მოსწავლეთა თვითმმართველობა ასევე იღებდა მონაწილეობებს და დახმარებას უწევდა სკოლის მასწავლებლების მიერ ორგანიზებულ აქტივობებსა და ღონისძიებებს. წლის განმავლობაში ტარდებოდა სხვადასხვა სახის შემეცნებით-გასართობი ღონისძიებები, როგორიცაა:

- პრეზენტაციები - სკოლის მოსწავლეები სკოლის თვითმმართველობასთან ერთად საკუთარ თანასკოლებლებს უზიარებნენ საკუთარ ინტერესებს გარკვეულ თემებზე;
- ოლიმპიადები - როგორც საგნობრივი, ასევე შემეცნებით-გასართობი;
- ჩემპიონატები - მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთში, მხიარული სტარტები;
- დებატები - სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ და საკუთარ მოსაზრებას არგუმენტირებულად უზიარებდნენ გარკვეულ თემებთან დაკავშირებით.
- კონკურსები - სკოლის მოსწავლეები სასკოლო თვთმმართველობის დახმარებით იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა სახის კონკურსებში. მაგალითად: თვითმმართველობამ და სკოლის დირექციამ, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გამოგზავნილი საჩუქრებით დააჯილდოვა პროექტში მონაწილე 4-ვე მოსწავლე, რომლებმაც თავი გამოიჩინეს და დამსახურებულად მოიპოვეს გამარჯვება.
- შიდა სასკოლო ვიქტორინა - სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ სასალისო ვიქტორინაში, სადაც მოსწავლეებს უნდა ეპასუხათ, როგორც საგნობრივი კითხვებისთვის, ასევე სახალისო-შემეცნებითი კითხვებისთვის. აღნიშნული ვიქტორინა ჩატარდა სკოლაში, ონლაინ პლატფორმა “Kahoot”-ის გამოყენებით.
- ბიზნეს წამოწყება - მოსწავლეებმა და თვითმმართველობის წევრებმა მონაწილობა მიიღეს და შექმნეს ხელნაკეთი სამაჯურებისა და ქოთნების მაღაზია “Modern Jewellery” პროექტი: „ცოდნის კაფეს ასაშენებლად“ ფარგლებში. ზემოთ ხსენებული ბიზნესისათვის შეიქმნა Facebook გვერდით: https://www.facebook.com/GeoMSJewellery1/

- ვიდეო კლიპების შექმნა - სკოლის თვითმმართველობის დახმარებით, სკოლაში შეიქმნა რამოდენიმე ვიდეო კლიპი მოსწავლეთა და მასწავლეთა გასახარებლად და მოტივაციის ასამაღლებლად.
- „ესკიმოს დღე“ - ეს ექსკლუზიური ღონისძიება სკოლაში 2019 წლიდან იმართება, სადან ბოლო მონაცემებით 80-ზე მეტმა მოსწავლე-მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა. პროექტის ფარგლებში მონაწილეს ნაყინ „ესკიმოს“ მისაღებად უნდა წარმოადგინოს საკუთარი ნახატი, რის შემდეგაც ის მიიღებს ბილეთს და შეუძლია ამ ბილეთის გადაცვლა ნაყინში.
- „ჩაის საერთაშორისო დღე“ - ეს ღონისძიებაც წარმოადგენს სკოლის ექსკლუზივს, რომლის ფარგლებშიც მოსწავლე მასწავლებლებს შეუძლიათ დააგემოვნონ სხვადასხვა ქვეყისა და კულტურის ჩაი.

სასკოლო თვითმმართველობა ასევე ერთვებოდა სხვადასხვა სკოლის კათედრების მიერ წარმოებულ საგნობრივ კვირეულებში, მაგალითად:

- ისტორიის კვირეულის ფარგლებში, სკოლაში ჩატარდა პროეტი, პრეზენტაცია-კომფერენცია: „ დამეხსენი ჩრდილოელო! პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა მოისმინეს ამ საკითხთან დაკავშირებული სხადასხვა ფაქტები, მოინახულეს სხადასხვა დაწესებულებები და მუზეუმები.
- „ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე“ - ერთკვირიანი პროექტის ფარგლებში მოსწავლეები დაესწრენ სხადასხვა შემეცნებით და საინტერესო პრეზენტაციებს, მოინახულეს და დააკვირდნენ ბუნებას და ურბანულ ბიომრვალფეროვნებას.

ამ და სხვა უამრავ ღონისძიებაში იღებდა წლის განმავლობაში სასკოლო თვითმმარელობა მონაწილეობას. ანგარიშისათვის კი, შეირჩა ყველაზე მაშტაბური სასკოლო ღონისძიებები. სასკოლო თვითმმართველობა შპს „დეა“ სკოლაში ყოველწლიურად იხვეწება და ვითარდება, სკოლის დირექციის ხელშეწყობით. იმისდა მიუხედავად, რომ წლის განმავლობაში სკოლა რამოდენიმეჯერ გადავიდა ონლაინ სწავლებაზე თვითმმართველობას არ შეუჩერებია ღონისძიებების წარმოება ონლაინაც.

სკოლის თვითმმართველობა ასევე აწარმოებს Facebook გვერდს სადაც განთავსებულია ყველა ჩვენს მიერ ჩატარებული ღონისძიებების ფოტო და ვიდეო მასალა.

გვედის სანახავად მიჰყევით ბმულს:

https://www.facebook.com/SchoolGeniusOfficial